ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3358445

ნომერი: AR1513382

თარიღი : 12.06.2017

გაცემის თარიღი : 28.06.2017

გაცნობის თარიღი : 28.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გამსახურდია , ჩიხი II , N 2 , (ნაკვეთი N010/017) / ქალაქი თბილისი , გამზირი გამსახურდია , ჩიხი II , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომეო სარია პ/ნ 51001000417
- თბილისი წყალტუბოს ქ. N 3 ბ. 3

ორგანიზაცია:

- შპს"სამშენებლო ინვესტიციები" კოდი: 405089309

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 2 ივნისის №1288225 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 12 ივნისის AR1513382 განცხადებით მომართა შპს |სამშენებლო ინვესტიციები პეკინზე”-ს დირექტორმა რომეო სარიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 2 ივნისის №1288225 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა,

ვინაიდან მოხდა მიწის ნაკვეთების გაერთიანება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 2 ივნისის №1288225 გადაწყვეტილებით, #01.10.17.010.008 (716 მ2) და #01.10.17.010.017 (279 მ2) საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისთვის, მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
დოკუმენტაციის განხილვისას დადგინდა, რომ მოხდა მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების ცვლილება, შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია 2014 წლის 2 ივნისის №1288225 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 2 ივნისის №1288225 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.10.17.010.038 ფართობი 995 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი 882017352177, რეგისტრაციის თარიღი : 12/06/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 2 ივნისის №1288225 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N24 სხდომის ოქმთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 26 ივნისის N1-1489 ბრძანებასთან ერთად;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 2 ივნისის №1288225 გადაწყვეტილებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.